**რედაქცია**

გალავინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

**ნახევარი წლის ხელის-მოწერა**

**პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდინ**

**დროება**

ცალკე ღირს — ხუთი მანეთი

**ივერია**

ცალკე ღირს — სამი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ რვა მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმა

(„საერთაშორისო ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 19 აგვისტოს „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ იმპერატორის კარის მინისტრი გრაფი ადლერბერგი, ავათმყოფობის გამო, დათხოვნილია სამსახურიდამ; იმის გაგივრად დაინიშნა გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი. სამხედრო მინისტრის კანცელარიის გამგებლად დაინიშნა ღენ. იაკიმოვიჩი, იმის თანაშემწედ ლობკო. ბესარაბიის ღუბერნატორად დანიშნეს კონგარი, ჩერნიგოვისა—თ. შახავსკოი.

## ახალი ამბები.

უმაღლესის მთავრობის განკარგულებით, ბათუმის, ყარსისა და სოხუმის მაზრებში ადგენენ ამ ჟამად სიებს იმ ცარიელ ადგილებისას, რომლებიც ხალხის დასასახლებელად გამოდგება.

ამავე საგნის შესახებ ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილია, რომ კავკასიის უმაღლესი მთავრობა 400,000 მანეთს თხოულობს ხაზინიდამაო იმ განზრახვით, რომ რამდენიმე ათასი რუსი დაიბარონ შუაგულ რუსეთიდამ და ყარსის გუბერნიაში დაასახლონო.

რაც აფხაზეთისა და საზოგადოთ შავის ზღვის ნაპირების დასახლებაზე გვითქვამს და გუშინაც მოვიყვანეთ ღენ. სტაროსელსკის აზრი, ბათუმისა და ყარსის მაზრების დასახლებაზედაც იმას ვიტყვით: როგორც სოხუმის მაზრაში, ისე ბათუმისა და ყარსისაში მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს და ამათ მეზობლებს შეუძლიანთ გაძლება და მოთავსება; რუსებისა და უცხო ქვეყნელების გადმოსახლება ტყუილი ხარჯი იქნება და თვით ამ გადმოსახლებულების დაღუპვა....

* * *

თუ სადამდინ მიაღწევს ზოგიერთ ქურდების მხნეობა, ქვემო მოყვანილი გარემოება გვიმტკიცებს:

ზავლილ კვირას ერთი ქურდი გაღებულ ფანჯრიდამ შევიდა კავკასიის მთავარ მმართებლის მოადგილის სასახლეში, დაავლო ხელი წინა ოთახში ჩამოკიდებულს სარკეს და სწორედ იმ დროს, როდესაც გამოპარვას აპირებდა, ყარაულ სალდათმა შეუტყო, სტაცა ხელი და დაიჭირა. დამნაშავე იმ წამსვე პოლიციაში წაიყვანეს და გამომეძიებელს გარდასცეს; სარკე კი მთავარ მმართებლის მოადგილის სასახლეში დაუბრუნეს.

ყველაზე გასაკვირველი ის არის, რომ ეს ამბავი ნაშუადღევის ორს საათზე მოხდა.

* * *

სოხუმიდამ იწერებიან გაზ. „კავკაზში“, რომ ამ თვის 4-ს იქ დაბრუნებულა მთებიდამ კავკასიის სამთო გამგეობის უფროსი ღენ. კამაროვი, რომელსაც დაუვლია სვანეთი და დაუხედავს ყველა გზები, რომელიც სოხუმის მაზრიდამ ყუბანის მაზრაში გადადის მთებზე. ამბობენ, ღენ. კომაროვის აზრით, გზის გაყვანა ყველაზე უფრო მოხსენებული და იაფი კლუხორის ქედზე შეიძლებაო, სადაც ახლაც გადაჰყავთ ყუბანზე ზაფხულობით საქონელი და ცხენითაც დაიარებიანო.

* * *

დღეს, ხუთშაბათს, მეთორმეტე საათის ნახევარზედ, რიყეზე მტკვრის ნაპირად, გაჩნდა დიდი ცეცხლი. თავდაპირველად ცეცხლი გაჩნდა ტყავის ქარხანის ეზოში, სადაც მოსდებია ხის შენობას. აქედამ გადასულა მეორე შენობაზედა და ათი-თხუთმეტი მინუტის განმავლობაში ერთბაშათ იწოდა ოთხი თუ ხუთი ხის და ოთხი ქვით-კირის სახლები. ამას გარდა დაიწვა ბევრი შინაური ფრინველები, ურმები და სხვა და სხვა ოჯახობის ნივთეულობა.

ნაშუადღევის მეორე საათზე ცეცხლი ჯერ კიდევ გაუქრობელია, მაგრამ მისი წინ-მსვლელობა ცეცხლის მქრობ კამანდის, ადგილობრივი მცხოვრებლების (მალაკნების) და ახლო წყლის შემწეობით შეაჩერეს.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ:

„იმერლები თავის ცრუმორწმუნოებით ყოველთვის განთქმული იყვნენ აქაური მკითხავები; მაგრამ ამ უკანასკნელ დროს, არათუ სოფლებში, ქალაქშიაც ისე გამრავლდნენ მკითხავები, რომ თითქმის ყოველ ქუჩაზე დგანან. ყველა რჯულისა ხალხი და ორივე სქესისა მკითხაობენ: თათრები, სომხები, ქართველები და სხვ.

„მაგრამ ყველას გადააჭარბა ერთმა მოხუცებულმა ურიის დედაკაცმა, შაბათა რიქინაშვილის ბებიამ, რომელსაც მუდამ დღე იმდენი მუშტრები ახვევია, თუ სოფლიდამ ჩამოსულები და თუ ქალაქელებივე, რომ ველარ აუდის. ვისაც ფული აქვს, ფულს აძლევენ მკითხაობაში; ვისაც არა, პურს, ქათამს, კვერცხს და სხვ.

„ამის კარებზე არის ერთი გაუწყნარებელი ბაასი და ლაპარაკი.

„— სახლი მეორე ადგილზე უნდა გადიტანაო, ასე მითხრაო!“ იძახის ერთი.

„— სწორეთ ნამდვილი მითხრაო, იძახის მეორე: ჭისკარზე (ალაყაფის კარებზე) ცხენის თავი და მელის კუდი უნდა დაკიდო და მავნე თვალისაგან განთავისუფლდებიო! სწორეთ მოუხდება, შენ ნუ მომიკვდები“!

„შრიგო არ იქნება, რომ პოლიციამ მიაქციოს ყურადღება ამ გაიძვე-

---

## «დროების» ფელტონი, 21 აგვისტ.

### ზედ-სიძე.

**მოთხრობა რაფფისა**

(სომხურიდამ ნათარგმნი)

Იყო გაზაფხულის საამო გრილი საღამო. მზის უკანასკნელი სხივები ჯერ კიდევ ოქროს ფრათ ჰფენდნენ თოვლით შემოსილ ყაზბეგის ქედს.

Ეკკლესიებიდამ მოისმოდა წყნარი და სათნოების მომგვარი ხმა ზარების რეკისა. Ავლაბრის მოხუცებული დედა-კაცები თავიანთ თეთრ ჩადრებში გახვეულნი მიეჩქარებოდნენ ლოცვაზედ.

Დურგლიანთ შუშანა, სახლებ გარდაკეცილი და კაბის ტოტებ სარტყელში აკეცილი, თამბაქოთ ხელში, გარეთ გამოვიდა თავის პატარა სახლის კარებიდგან და როდესაც, ოთხსავ კუთხივ მიხედვის შემდეგ, დარწმუნდა, რომ ქუჩაში გამვლელ-გამომვლელი არავინ მოჩანს, უეცრად მოიქნია თამბაქო და თავის კარების წინ მოაპირქვავა. საპნიანი წყალი საჩქაროთ გაქრა მტვრიან დედა-მიწაში.

Ამ დროს ქუჩის მეორე კუთხიდგან გამოჩნდა მოხუცებული მაგდანა, რომელსაც ხელში ეჭირა რამდენიმე ცალი წმინდა სანთელი. Იმას თან მოჰყვანდა თავისი წყალი შვილი-შვილები, რომლებთაც აგრეთვე თითო ცალი წმინდა სანთელი ჰქონდათ ხელში.

— საით მიდიხარ ასრე გაჩქარებული, მაგდან-ჯან? ჰკითხა იმას შუშანამ.

— ფეთხაინში მივდივარ, შუშან-ჯან, შეგეწიოს იმისი მადლი.

— ნეტავი შენ, მაგდან, რომ დროს ჰპოულობ ლოცვისათვის; მე კი ჩვენ სურბ-მინასშიაც ვერ მომიცლია წავიდე.

Ეს სიტყვა ვერ მოეწონა მაგდანას, რომელმანც გაკვირვებით ჰკითხა:

— რათა, ქა? ზანა კვირა ძალ საღამოსაც ლოცვას მოსცდებიან?

— Ეჰ! რა ვქნა, მაგდან-ჯან, სისაწყლე ძნელი საქმეა! ამოოხვრით უპასუხა შუშანამ:—Აი დილას აქეთაც ბევრი სარეცხის სრესისგან თითები სულ დაკრუნჩხულ-დალეწილები მაქვს; ჩემ ნატოსაც ჯერ უთო არ გაუთავებია.

Ნატოს სახელის გაგონებამ მაგდანას თავში დაჰბადა რაღაც ახალი ფიქრი....

— კაი რამაც მომაგონე: მითხარი, თუ ღმერთი გრწამს—ვინ არის ის ჯეელი ვაჟი, რომელიც თქვენთან მალ-მალ დაიარება?

Შუშანა როგორღაც ცოტა შეკრთა.

— Ყარიბი ვინმეა მაგდან-ჯან, ისე დაიარება რაღა, ხან სარეცხი მოაქვს, ხან საკერავები მოაქვს და ხანაც კიდენ ისრე უბრალოთ სამასლაათოთ მოდის.

— Ვინ არის? რომელ ქვეყნიდგან არის?

— Ყარაბაღელია, მაგდან-ჯან. Დიდი კაცის შვილი კია: თითონ ამბობს, მამა ჩემი მელიქიაო და დიდი ქონების პატრონიო.

Ამ სიტყვებმა დიდათ გააკვირვა მაგდანა.

— Თუ მაგისთანა კაცის შვილია, ამ ჩვენ ქალაქში ცუღლუტათ რაღათ დაეთრევა?

რა ხალხს, რომელიც ამგვარის მოტყუებით სცარცვავს უმეცარ ხალხს“..

* * *

ქვემო-იმერეთიდამ გწერენ:

„თექვსმეტს ამ თვისას, კვირა ღამეს ს. დიდ-ჯიხაიშს მიროვოი პოსრედნიკის მაიხოსრო ლორთქიფანიძის სახლში, ანეტა ლორთქიფანიძის თაოსნობით, წარმოადგინეს „მე მინდა კნეინა გავხდე“, კამედია ორ მოქმედებად, და „ცოლი თუ გინდა ეს არის“, ვოდევილი ერთ მოქმედებად.

„წარმოდგენა ძლიერ კარგათ წავიდა. ნამეტურ კარგად ითამაშეს: ანეტა ლორთქიფანიძისამ და დავით ლოლაბერიძემ.

„დიდ-ძალი საზოგადოებაც დაესწრო.

„შემოსავალი, ხარჯს გარდა, დარჩა ოთხმოცდა ხუთი მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს დიდ-ჯიხაიშის სასოფლო სკოლას...

„დიდი მადლობა ეკუთვნის ლორთიქიფანიძისას, რომელიც ყოველს ამ გვარ საქმეებს ხელს უმართავს და რომელიც აგრეთვე თავის ხარჯით პატარა სცენის გაკეთებას და ქართული ბიბლიოთეკის დაარსებას პირდება ჯიხაიშლებს.“

## „დროების“ კორრესპონდენციები

**სტ. აბაშა, 17** აგვისტოს. მეორეთ-მოსვლის მოლოდინით ისე შეშინებულია ხალხი, რომ ტურამაც რომ დაიჭყავლოს, იმასაც დიდ მნიშვნელობას აძლევენ. კუდიანი ვარსკლავი, მიწის-ძვრა და ღამით ცისარტყელა, რომელიც იყო ამას წინეთ, სულ ამაებს დიდს მნიშვნელობას აძლევენ და კიდევაც ძრიელ ეშინიათ გულში.

მაგრამა საქმით კი ჩვეულებისამებრ ბევრი იმათაგნი მაინც არ იშლის—ცუდ-მოქმედებას. წინეთ რომ ავი საქმე ცოდვათ მიაჩნდათ, ეხლა ავის ჩადენა სიყოჩაღეთ მიაჩნიათ, იმით თავს აწონებენ.

ამას წინათ აბაშის სტანციის მახლობლად სოფელს კვატანას ძმამ ძმა მოკლა, დააკრა ფიცარზედ და წყალში გარდაუძახა. აქაურმა პრისტავმა ახსნა ეგ საქმე და დაიჭირა ის კაცი და რძალიცა, რომლის შემწეობით, როგორც ისმის, ის იყო მოკლული (ამბობენ, ერთი ძმის ცოლი მეორესი საყვარელი იყოვო). მაგრამ იმ ქალს დიახაც დიდი ხანი არ დაგვიანებია საპყრობილეში: გამოუშვეს თავდებს ქვეშ და ძველებურად გაპრანჭული დაიარება და არა თუ ეშინია, ვგონებ, არც ქე სცხვენია. კაციც თავდებ ქვეშ გამოშობილი არისო, ამბობენ!

ამავე აბაშის სტანციის მახლობლად იდგა ერთი ქვრივი ბებერი დედა-კაცი თავისი ძმისწულით, 14 წლის ქალით ბასრულს ივლის შეუხტენ ღამით სახლში და ორივე დაალრჩვეს. მიზეზათ იმათი დახრჩობისა აი რა ყოფილა, როგორც ამბობენ: იმ ქვრივს არა ყოლია არავინ და თვითონ მუშაობდა თურმე ყანაში, თვითონ თესავდა და მკიდა სიმინდს, როგორც კაცი, და ეგრე საწყლად ნაშრომი სიმინდი გაეეყიდა ოთხი თუმნისა; ეს სცოდნოდათ ზოგიერთებს. როდესაც ეგ საქმე მოხდა, ფული ვეღარ იპოვეს და იმისთვის ყველანი დარწმუნებული არიან, რომ ის ოთხი თუმანი იყო მიზეზი ამათი დახოცვისაო... ისე საშინლად ეწვალებიათ, რომ იფიქრებდა კაცი, ეგ მხეცის ნაქნარი უნდა იყოსო და არა ადამიანისაო. თუმც ბ. პრისტავი ძრიელ ცდილობს, მაგრამ ეჭვს ქვეშ თუ ჰყავს ზოგიერთები, თორემ სხვა ჯერ-ჯერობით ვერა შეიტყო-რა.

აბაშელი.

**სოფ. ვაყა (ბორის მაზრისა), 16** გვისტოს. ჩვენი გლეხი სიხარულითა შესცქეროდა თავის მოსავლის პირს და ზეციურს მანანასავით ელოდა, თუ როდის ჩაჰყრიდა იგი თავის წითელს „ბაბას“ ორმოში და დაასვამდა გაზაფხულამდის ბეჭედს, მაგრამ აქაური ქურდები ისეთის ხერხით ქურდობენ, რომ არაფერი არ გაუმაგრდებათ რაც უნდა იყვეს. ჩვენი მოხელეები არ იფშვნეტენ თვალებს და არ ფხიზლდებიან თავიაანთის გამოურკვეველის ძილიდან. ამათ არა ჰყავთ ღამის ყარაულები, რომლებიც აუცილებელს საჭიროებას შეადგენენ სოფლის სიკეთისათვის.

ამ უთავბოლობისაგამო 11 აგვისტოს, ღამით, დაიკარგა რვა ცხენი ერთად.—ქურდებმა მთელი სამი საათი თურმე სოფელში ისეირნეს, ვიდრემდის სხვა-და-სხვა გომურებიდგან მოაგროვებდნენ და გულს იჯერებდნენ და კარგათ გაშინჯავდნენ. ბევრმა კიდეცა ნახა ეს ქურდები, მაგრამ ხმა ვერავინ გასცა, იმიტომ რომ გონზედ ვერ მოვიდნენ—თუ ისინი ავაზაკები იქნებოდნენ. ცხენები რომ სოფელში გაატარეს, ერთი ქვრივის მიწური გადაიარეს და მიწური ჩაინგრა; ქვრივი გამოვიდა და რომ ნახა ამდენი ცხენები ერთად, ეგონა მეზობლები არიანო. „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გაიარე უჯოხოო“, ტყუილად კი არ გამოუთქვამს ეს სიბრძნე ჩვენ მამა-პაპას. თუ სადამდის მიდის ამ ქურდების თავწასულობა, ამას შეიტყობთ იქიდან, რომ იმ ნაპარავ ცხენებში ეკუთვნის თ. ლუკა ბეგთაბეგოვს, ერთიც სომხის ტერტერას და სამი გლეხებს. საცა თავადს აღარა ზოგვენ, რომელსაც უფრო ძალა მიუძღვის, რასაკვირველია, რომ ღატაკ ქვრივსა და ობოლსა უფრო ტუტას და მუსრს გაავლებენ.

მიკვირს ეს, ბ. ბორის მაზრის უფროსი რატომ თვალ ყურებსარ იჭერს რომ ამოდენა ქურდობა ხდება მისდამო რწმუნებულს უეზდში!

12 აგვისტოს, ღამით 11 საათზედ და კიდევ 4 საათზედ, იყო საშინელი მიწის-ძვრა რამდენიმე წამის განმავლობაში. ისეთი საშინელი იყო, რო ფიცრის სახლებმა სულ ჭრაჭი-ჭრუჭი დაიწყეს [illegible] ქნინათ, იმათაც კი გამოაღვიძეს, რადგან ტახტებმა საშინელი ნძრევა იწყეს.. ბევრმა იგრძნეს ეს მიწის-ძვრა და ყველა, რასაკვირველია კუდიან ვარსკვლავს აბრალებს...

ვაყელი.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ამ წერილს ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „დროებაში“, რადგანაც № 125-ში ბევრი უსაფუძვლო რამ ნათქვამი დავინახე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელზედ.

ამ ნომრის მოწინავე სტატიაში მაგალითად სწერია: „ამისთანა უბედური სასწავლებელი მგონი მეორე არ გაჩენილა დედამიწის ზურგზედაო, მუდამ აყალ-მაყალი მასწავლებლებს და ზედამხედველს-შუა, მუდამ განხეთქილება თვითონ მასწავლებლებში დაუბოლოებელი საჩივარი შეგირდებისა თავიანთ ოსტატებზედ, განუსაზღვრელი გაჭივრება და სიღარიბე შეგირდებისა!..

აქ, პირველი ორი სტრიქონის გარდა, სულ ცხადი ტყუილია. ეხლა ზედამხედველს და მასწავლებლებს-შუა არაფერი აყალ-მაყალი არ არის, არც თვითონ მასწავლებლებთ-შუაა რაიმე განხეთქილება. რატომ არ ასახელებთ პირებს, თუ ეს მართალია? ამისთანა მძიმე საქმეზედ ასე მჩატეთ წერა არ შეიძლება.

„დაუბოლოებელი შაგირდების მასწავლებლებზედ საჩივარიც მუდამ „აყალ-მაყალის“ და „განხეთქილობის“ ერთგული ამხანაგი გახლავთ. ერთ და ორი მაგალითზე მერე 732 შაგირდების შორის „დაუბოლოებელი“ არ ითქმის. ხოლო ერთი და ორი მაგალითი არაფერ სატირალ უბედურებას არ შეადგენს.

„განუსაზღვრელი გაჭივრება და სიღარიბე მოწაფეებისა“ სწორეთ კი არ ვიცი რა ნაირად არის „სასწავლებ-

---

— არ ვიცი, მაგდან-ჯან. იმას რომ ჰკითხო, ამბობს, მითომ მამას გასწყრომია და აქ იმიტომ წამოსულა; მამა კი თურმე ერთ თავათ სწერს: შვილო-ჯან, გეყოფა უცხო ქვეყანაში ყოფნა; დაანებე მანდაურობას თავი, ჩამოდი და შენ სახლ-კარს უპატრონეო“, — მაგრამ ის კი არ მიდის.

— მაშ აქ რა უნდა გააკეთოს?

— ამბობს, წმინდა საქონლის მაღაზია უნდა გავაღო და ვაჭრობა დავიწყოვო.

— მერე ფული კი აქვს?

— ეხლა კი არა აქვს, მაგრამ ამბობს იქნობამდის მოვიცდიო, სანამ მამა ჩემი მოკვდებაო და მაშინ ავდგები იმის ყველა ქონებას გავყიდი და ფულათ ვაქცევო.

მაგდანას პირის სახემ საეჭო სიცილი გამოსახა.

— ეგ კარგი საქმეა შუშან-ჯან, მაშ ღმერთს ეხვეწე, აგები ჩქარა მოუკვდეს მამა.

— როგორ თუ შევეხვეწო!? გაკვირვებული ჰკითხა შუშანამ.

— ვა! მაშ სხვა რაღა გინდა: ღმერთს უნდა ევედრო, რომ შენ საწადელს მალე მოეწიო.

— რა საწადელი? რას ლაპარაკობ, მაგდან? სთქვა შუშანამ პირის უკუქცევით.

— განა არ ვიცი, რომ შენა გსურს, ნატო იმ ვაჟს მისცე და „ზედ-სიძეთ“ გაიხადო!

— არა, ჯვარ გეფიცები!

მაგდანამ განაგრძო თავისი გზა შემდეგ სიტყვების წარმოსთქმით: „ეი! მეც წიკლოანთ მაგდანას მეძახიან. განა არ იცი, რომ მაგდანასთან ჩიტებს ყოველი ამბავი მოაქვს?

შუშანამ პასუხი აღარ მისცა-რა და შებრუნდა სახლში.

II

ერთ ვიწრო ქუჩაში იყო პატარა ორ-ოთახიანი სახლი, გარს შემორტყმული ფიცრულ ღობით. ეს იყო ის სახლი, სადაც შევიდა შუშანა. ეს სადგომი შუშანას ქირით დაჭერილი ჰქონდა თვეობით იაფ ფასათ.

ეზოს ერთ კუთხეში მუშაობდა ერთი დურგალი, ეჩოთი ხელში. ის ხან სთლიდა ფიცრებს, ხან ატოლებდა ერთმანეთს, ხან ალურსმებდა. ამ კაცის თოვლსავით თეთრ თმისთვის რომ შეგეხედნა იტყოდი, ეს უკანასკნელი სამოცი წლის მოხუცი მაინც იქნებაო; მაგრამ ის ჯერ ფრიად ჯანმრთელი, მხნე და მოსაქმე იყო. ის იყო კუბოს გამკეთებელი და მოღუშულ სახეზე ჰქონდა გამოსახული იმის ხელობა.

უსტა ბრიქულა—ასე ეძახოდნენ იმ ოსტატს—იყო შუშანას ქმარი.

იმის გვერდით იდგა ერთი მუშელი მუშა ბოლიათის გმირულ ტანისა და ძალაზედ აჩქარებდა მეკუბოეს კუბოს გათავებაზედ.

— ჰავარ, ბაბაო! ჩქარა გაათავე, თორემ ორი შაური დამეკარგება! სთქვა იმან თავისებურ სომხურ კილოზედ.

— ეხ! თომა-აღავ, შენ რომ არ მომკვდარიყავ, ხომ მუშებს თავის დღეში არ ეღირსებოდათ შენგან ათი კაპეიკის მიღება! მაღლა ხმით წარმოსთქვა დურგალმა და თან აგრძელებდა მუშაობა.

— ღმერთმა შეიწყალოს იმისი სული! სთქვა მუშამ.

— ღვთის მოწყალებამ გადირბინოს იმის საფლავზედ... გააწყვეტინა მუშას ხმა უსტა ბრიქულამ.

— განა თომა-აღა კარგი კაცი არ იყო?

— კარგი იყო იმითი, რომ ჩქარა

ლის“ ვითომ და ცუდი წესების ბრალი! სასწავლებლის მმართებლობის მეცადინეობით ულარიბესი შაგირდებისთვის სამღვდელოებისაგან ხუთასი მანეთია ყოველ წლობით დანიშნული. არა ნაკლებ ამის შემწეობა ფულით, ტანისამოსით და ფეხსაცმელით ეძლევათ ულარიბეს სასწავლებლის მოწაფეების ღარიბ შაგირდების „დამხარებელ საზოგადოებისაგან“. სრულიად შეგირდების სიღარიბის და გაჭირვების მოსასპობელი საშუალება ჩვენ, საუბედუროთ ჩვენდა, ჯერ ვერ ვპოვეთ. ხოლო უკეთუ ავტორმა ამ სტატიისა იცის, დაბეჭდეთ და თუ არ ვისარგებლოთ, მაშინ გაგვკიცხეთ.

პირველი ორი სტრიქონი კი, როგორც ზევით ვსთქვი, სწორეთ მართალია. ამისთანა უბედური სასწავლებელი, მგონი, მეორე მართლა არ გაგონილა დედა-მიწის ზურგზედ, მაგრამ რისთვის, იცით? მისთვის რომ მას, სამწუხაროდ, არ იქმნა, არ გამოელია თითო-ოროლა ავტორისთანა ძალად-ქირის-უფალი, რომლებიც საქმეს გვიბრკოლებენ.

„რატომ სასწავლებლის მთავრობა, თუ სხვა ღონე არ მოეძევა-რა და ვერ ახერხებს იმათ მორჯულებას, ამბობს ავტორი ხასიათ გაფუჭებულ შეგირდებზე, რატომ არ ითხოვს სასწავლებლიდამ?... აქ ლაპარაკია იმ შეგირდებზედ, რომელთაც შეურაცხყოფა მიაყენეს ბ. ბაფრინდაშვილს. ამ შეგირდებს ჩემს დროს არა ჩაუდენიათ-რა იმისთანა, რომ მიზეზი მოეცათ გამოგდებისათვის და წინანდელი ცუდი ყოფა-ქცევისთვის კი გამორიცხვა ჩემის მხრით იქნებოდა ყოვლად უადგილო მოქმედება.

„ბ. ბაფრინდაშვილი ხანდისხან პანჩურებს უბოძებს შეგირდებსაო და სილების ჰმევაც იცის და თავში ჩაფაჩუნებაცაო“. ეს გახლავთ ქუთაისელ კორრესპონდენტების ფანტაზიის ნაყოფი. ვინც კი ცოტათი მაინც იცნობს ბ. ბაფრინდაშვილს და ჩვენი სასწავლებლის შეგირდებს, ამას არა თუ გაზეთში არ მისცემდა ადგილს, ისეც ტყუილა ლაპარაკში არ მოისმენდა (?!). ძველი პარტიობის და ზედამხედველს და მის თანაშემწეს-შუა გახეთქილების გამო შეგირდებს ხმას არავინ სცემდა. უველა იმას ცდილობდა, მათ მოსწონებოდა, რომ შეგირდებს ისინი თავიანთ დედ-მამასთან ექოთ, რადგანაც მაშინ მღვდლებს დიდი გავლენა ქონდათ სასწავლებლის ბედზედ. თუ როგორმე მოხდებოდა და შეგირდებს გამორიცხავდნენ, იმათ, ხშირად მაშინვე უკან მიიღებდნენ, სუყველაფერ საშუალებას ჰქონდა თურმე, როგორც ამბობენ, გავლენა საქმეზე. შეგირდებს არაფერი სასჯელის არ ეშინოდათ, არავისი ხათრი და მორიდება არ ჰქონდათ. ამ ნაირად ნაზარდი შეგირდები არა თუ პანჩურს, სილას და ჩაფაჩუნებას არ იკადრებენ, სიტყვასაც არ კორინობენ. რომ ეს ღონის-ძიება ვისმე აქ ეხმარა, მაშინ ეს ერთად-ერთი სამწუხარო შემთხვევა კი არა, ბევრად მეტი იქმნებოდა. ამისთვის ამ სტატიისა და წინანდლებისაც ავტორი, რომელიც ერთობ გაცხარებულია ამ სასწავლებლის ინსპექტორზედ, ამტკიცებს იმას კი არა, ვითომ საქმე ცუდად მიდის, არამედ იმას, რომ საქმე რიგზედ მიდის. მომრჩენელმა წამალმა ცოტა დროებითი მტკივანი ადგილის აწვა იცის. ეს შემთხვევა მეტს არაფერს არ ნიშნავს.

„საუბედუროდ, როგორც გვაცნობებენ, მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა თითქმის სრულიად არ აქცევს ყურადღებას ამ სასწავლებელსა; ზედამხედველზე აქვს მინდობილი და თვითონ კი არავითარ სასწავლებლის საქმეში არ ერევა. იმედი ვიქონიოთ, რომ..... ახლა მაინც მოინდომებს პატივცემული ეპისკოპოზი დაახლოვებით გაცნობას ამ სასწავლებელისასა...“

დაიმშვიდე გული, ბატ. ავტორო: პატივცემული ეპისკოპოზი ძალიან დაახლოვებით იცნობს ამ სასწავლებელს და ზედამხედველზე დაუნდობლობა საქმეს ვერ გაასწორებს.

ქუთაისის სას. სასწავლ. ზედამხედველი
ი. ფხაკაძე.

---

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ცოტა ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ამ მოხსენებას.

„დროების“ 171 №-ში სწერია, რომ ხაშურში დროებით მცხოვრებნი დაეცნენ წარსულს ივლისში მასტერს, აიკლის და სხვა, რომ პოლიციის პრისტავს სურამში აქვს ბინადრობა და იმისი ნახვა კი ისეთი იშვიათია, როგორც კუდიანი ვარსკლავის მოვლენაო.

მოგეხსენებათ, რომ სურამი საპრისტავო ზოგიერთთა უეზდებს არ ჩამოუვარდება თავისის სივრცით და ხალხის სიმრავლით და აბა როგორ მოხერხდება, რომ ერთი კაცი ყოველთვის და ყოველგან იყოს!

მასტერის გაცარცვას კი რაც შეეხება, მე იმ ღამეს, თუმცა ბორში გახლდით, მაგრამ მეორეს დღესვე კი ქურდებიც და ნაქურდალიც აღმოაჩინა იმ პოლიციამ, რომელიც კუდიანი ვარსკვლავივით იშვიათათ მოგევლინებათ ხოლმე. ქურდები, მართალია, მეგრელები არიან, მაგრამ სულ მოსამსახურენი რკინის გზისა.

ხაშურში რომ ჯეროვანი ზედამხედველობა არ არის პოლიციის მხრით, ამაზედ მეც არ შემიძლიან არ დავეთანხმო ბ. ავტორს. ამ საგანზედ მე არა-ერთხელ სიტყვით და ქაღალდითაც მომიხსენებია მთავრობისთვის, რომ ხაშური თავის გარემოებით და ხალხის სიმრავლით, თხოულობს აუცილებლივ საკუთარის ჩინოვნიკის ზედამხედველობას; იმისგამო კიდევ, რომ ხაშურში ხშირად ხდება უწესოება, რადგან სოფლის მამასახლისი, უცოდინლობის და გამოუცდელობის გამო, ვერას აწყობს, ვსთხოვე ან თანაშემწე დაენიშნათ და ან მე დავეტოვებინეთ, მაგრამ არცერთი და არც მეორე არ ინება მთავრობამ.

სურამის მამასახლისმა სთქვაო, პრისტავის თანამდებობას მე ვასრულებო,—ამის პასუხად ამას მოვახსენებ ბ. ავტორს, რომ ჩვენს სასამართლოში რომ ერთი თქვენი ნაცნობი მწერალია, იმას რომ ჰკითხოთ სეკრეტარიც ის არის, მოსამართლეც და მგონი თვით პალატის თავმჯდომარეც! მაგრამ არც ერთი კი არ არისრა.

ხაშურში უიარაღოთ არ გაევლება კაცსაო, ესეც ერთობ გაზვიადებული სიტყვაა, თუმცა კი ხაშური ბევრი უწესოებაების მოწამეა.

სურამის უჩასტკის პოლიციის პრისტავი
დავით დეკანოზოვი.

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ო რ შ ა ბ ა თ ს.** გარალეგიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობი-

---

მოკვდა: მელაც ხო მარტო მაშინ არის საჭირო, როცა კვდება.

— თომა-აღა ხნიანი კაცი იყო? ჰკითხა მუშამ.

— ჰა. მე ამ კვირია მქონდა იღბალი კუბოს გაკეთებისა რამდენიმე ამისთანა კაცებისათვის: ერთი საყდრის კანდელაკისთვის, მეორე პურის ფოდრაჩიკისთვის... ახ, რამდენი სიამოვნება მოაქვს ჩემთვის ამ ჩემ ხელობას, როდესაც ამით ამათთანა ადამიანებისთვის ვაკეთებ კუბოს!

— როდესაც მიცვალებულები აღაკაცები არიან-რაღა?

— სულაც არა. აი იმ დღესაც გავაკეთე კუბო ერთ სასწავლებლის მოწაფესთვის, მაგრამ მე არ ვიყავ გახარებული.

ამ დროს მოხუც დურგლის ყურადღება მიიზიდა ერთმა გულ-შემატკივარმა სიმღერამ, რომელიც მოისმოდა იმათ პატარა ოთახიდგან:

„მე ჩემ გულში დარდი მაქვს,
„მკლიანი ვირდი მაქვს;
„დედავ ჩემო, დაბრმავდი,
„საძაგელი ქმარი მყავს.

ეს სიმღერის ხმა იყო იმის ქალის ნატოსი, რომელიც გრძნობას აჰყოლოდა და რვა საათამდის სულ მღეროდა.

— ნატო, ნატო! ხმა მისცა ბერიკაცმა.

— რა, მამავ? პასუხათ მოისმა ნაზი ხმა.

— აქ მოდი.

— ახლავ, მამავ; ერთი პერანგიღა დამრჩა დასაუთოვებელი.

ცოტას ხანს შემდეგ ოთახის კარებიდგან გამოვიდა მშვენიერი ტანადი ქალი, შავ-თვალ-წარბა და წითელ ლოყებიანი. ის თავის ტანის-და-კვალად იმ ხნისა უნდა ყოფილიყო, როდესაც ახალგაზდა ქალის გაზაფხული დაიწყებს ხოლმე აყვავებას, ყმაწვილურ სიმხიარულეს და უდარდელობას.

— მოდი, შვილო, კუბოს ხუფი (სახურავი) შემოსე ხავერდით, არშიები და ყვავილები გაუკეთე. ესენი სულ შენი საქმეა.

— იჰ! დავმიწე იმისი თავი; განა ყვავილებიც უნდა დაუკრა? ბაჯავრებული უპასუხა ნატომ.

— ასე გვაქვს შეპირება, შვილო.

— ვარდების ასხმა მაშინ მითხარ, მამა, როცა კუბო ახალგაზდისათვის იქმნება დანიშნული.

— არა, შვილო, ეს დიდება მდიდრებისთვის არის, რომლებიც ჩვენისთანა საწყალ ადამიანებისგან წართმეულ ფულებით ჰრთავენ თავიანთ კუბოებს.

— წამლებმა-კი წაიღოს იმათი თავები! ნეტა ასე რათა შვრებიან?

— რომ საიქიოს იმათ სულებს ეშმაკებმა დასუნონ.

— მაშ, ვინ იცის, როგორ გაუხარდებათ ეშმაკებს, რომ ამ კუბოზედ ყვავილებს დაინახვენ! არა, მამავ?

— მაგას ჯოჯოხეთში სულ მთლათ დასწვავენ, უთხრა მამამ.

— ვა! დასწვავენ!? პანკალით და გაკვირვებით გაიმეორა ნატომ.

— მაშ, სწვავენ, როდესაც კუბო ჰარამ ფულით არის გაკეთებული!

— როდესაც ჰალალ ფულით არის გაკეთებული, მაშინ?

— დაჩუმდი, ნატო; ბევრი რომ ისწავლო, მალე დაბერდები, უთხრა მამამ და განაგრძო თავისი საქმე.

ნატო დაჩუმდა, აიღო ხელში პატარა ჩაქუჩი და დაუწყო თავის მამას შველა.

(გაგრძელება)

სა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლების ავათმყოფობისა.

**ხ ა რ ა ს კ ე ვ ს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. სისუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

ნამოცდილ მასწავლებელსა სურს მიიღოს თავის ოჯახში ორი უმაწვილი წლოვანებით 8 12-დინ წმ. დავითის ქუჩა ნომერ 31 ზედა სართული, სამი საათიდგან შუა დღისა საღამომდინ. (3—1)

---

**მიწა** იყიდება იმ ალაგას, სადაც აპირებენ ხიდის აშენებას, 18 მ., 20 მ., 22 მ., და 24 მ. კვ. საჟ. მსურველმა იკითხოს ინგლისის მაღაზიაში. იქვე იყიდება ბაღი 1,300 კვ. საჟ., მიხაილოვის ქუჩაზე 17 მან. კვ. საჟ. (10—8)

---

**გერარდის წიგნის მაღაზია**

## ქუთაისს

ბულვარის პირ და პირ, სობოროს გვერდით

აცნობებს სასწავლებელთა პატივცემულთ უფროსებს, მასწავლებლებს და საზოგადოებას, რომ მან მიიღო **ყოველ გვარი** სასწავლო მასალები და სახელმძღვანელოები (რუსული და ქართული) ყველა სასწავლებელთათვის.

მაღაზიას აგრეთვე მოუვიდა **ზოგნაირი** საკითხავი წიგნები, უპირატესად ბელლეტრისტიკური და მრავალი **ნოტები.** ფასები ძალიან ხელ-მისაცემია. (3—3)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—6)

---

**ჩარკვიანის და ამხ.**

## წიგნის მაღაზია

გადავიდა თ. მუხრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს კონტინიცის პირ-და-პირ **№ 15.** 5—5

---

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი ჩაის ყველგან

| | |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—29)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

---

ინგლისური რევოლვერ ი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავენტო პარნსნის უნაგირების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაშრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—93)

---

ჩრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

---

## ანგარიში

### რუსის გამსესხებელ შემნახველის ამხანაგობისა

ექვსი თვისა იანვრის პირველიდამ 1881 წლიდამ ივლისის პირველამდე რჩევისაგან შემოწმებული და დამტკიცებული.

იანვრის 1 იმყოფებოდა:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 4403—27 | მაცემული ამხანაგობაში — — — | —10013—50 |
| შესანახავათ შემოტანილი — — — — | 983— 2 | ნაღდად ფული ყუთში | 466—63¾ |
| ნასესხი — — — — | 4365— „ | | |
| სათადარიგო თანხა — | 58—79¾ | | |
| წმინდა მოგება 1880 წ. | 670— 5 | | |
| სულ | —10480—13¾ | სულ | —10480—13¾ |

ივლისის 1-მდე:

| შემოსავალი: | | გასავალი: | |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 137—88 | წილის ფული დაბრუნებული — — — | 69—80 |
| სარგებელი გასესხებულისა — — — — | 233—30 | წილის ფულზედმოგება | 373—10 |
| დაბრუნებული ნასესხი | 3087— „ | სესხათ მიცემული — | 2800— „ |
| ჯარიმა — — — — | 31—34½ | დაბრუნებული სარ. ვადაზე წინათ ვადახდილი | 7—83 |
| შესანახავათ შემოტანილი — — — — | 80— „ | შესანახავათ შემოტანილი — — — — | 15— „ |
| ნასესხი — — — — | 2500— „ | სარგებელი შესანახისა | „—40 |
| სათადარიგო თანხა — | 62—54 | ნასესხი — — — — | 2500— „ |
| | | სარგებელი ნასესხისა | 79—17 |
| | | სამართველოს ხარჯი | 11—21 |
| | | სხვა და სხვა ხარჯი — | 1—20 |
| | | ალებ მიცემებისა — | 72—54 |
| სულ | — 6132— 6½ | სულ | — 5930—25 |

ივლისის 1-ს იმყოფება:

| | | | |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 4471—35 | მიცემული სესხათ — | 9726—50 |
| შესანახავათ შემოტანილი — — — — | 1048— 2 | ნაღდი ფული — — | 668—45¾ |
| ნასესხნი— — — — | 4365— „ | | |
| სათადარიგო თანხა — | 121—34¾ | | |
| წმინდა მოგება — — | 389—24½ | | |
| სულ | —10394—95¼ | სულ | —10394—95¾ |

თავსმჯდომარე ნ. დისამიძე.

წევრნი რჩევისა: დ. ეგნატაშვილი, დ. მამესწარაშვილი, ნ. მამაცოვი, ბ. კავლელაშვილი.

წევრნი მართველნი: ი. კლიმიევი, ნიკოლოზ მძინაროვი, სარქის ჯნიაშვილი.

(3—2)

---

**ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში** (ალექსანდროვის ბაღთან, რუსის საყდრის გვერდით) იყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველთ ტომის დასაწყისზე თხზ. დ. ბაქრაძისა ფასი 20 კ.

ლექსნი, თქმული ვ. ხ. ორბელიანისაგან, ფასი 15 კაპ.

დავითიანი, გურამიშვილის დავითისა, ფასი 1 მან.

პონტის მეფე მიდრატად დიდი დ. ბაქრაძისა, ფასი 10 კაპ.

სამშობლო, ანუ ლექსთა კრება მიხეილ აბულაძისა, ფასი 10 კაპ.

პოლემიკური საუბარი მღვდლისა მაჰმადიანთ მოლასთან, თხზ. მღვდ. სიმეონ ბეგიევისა, ფასი 70 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, книжный магазинъ Захарія Чичинадзе.** (5—3)

---

**ახლად მიღებულია**

ინგლისის მაღაზიაშია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაროსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—14)

---

**წიგნის მაღაზია**

ი. მურადოვისა

## ქუთაისში

ამით აცნობებს ბ.ბ. მასწავლებლებს, რომ მომავალი სამასწავლებლო წლისთვის ამ მაღაზიაში დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო წიგნები, მოსწავლეთათვის რვეულები, დახაზულები მოთხოვნილების-და-გვარად, ასი—5 მანეთად, ასპიდის დაფები დახაზულები და სადაც, სამასწავლებლო სათამაშოები და სხვა ყოველ გვარი სასწავლებლისთვის საჭირო ნივთები ძრიელ იაფად.

ყოველივე მოთხოვნილება ასრულდება დაუყოვნებლივ და რიგზედ. (3—3)

---

**თბილისის ქალაქის გამგეობა** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დღეიდამ 20 აგვისტომდის **მიღება მსურველთაგან თხოვნა ქალაქის საოსტატო სასწავლებელში უმაწვილების მისაღებად.** ამ გვარი თხოვნას იღებს თვით დირექტორი ამ სასწავლებლის თავის სადგომში ეგზარხის მოედანზე, **№ 8.** უმაწვილები მიიღება არ ნაკლებ 13½ წლის ეგზამენები დაიწყება 22 აგვისტოდამ ქაღალდით თხოვნა საჭირო არ არის, რადგანაც დირექტორს აქვს დამზადებული თხოვნის ბლანკები. (4—4)

---

ინგლისური ინგბერ შამპანიის ღვინო! ფასი უჭურჭლოთ 25 კაპ. (ჭურჭლით 40 კაპ.), დიდი ბოთლია, **ინგლისის მაღაზიაში.** (10—4)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Августа 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მესხიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი